

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული
საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და
ანგარიშვალდებულება საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: ნინო ცუხიშვილი, საბა ბუაძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: ნინო ცუხიშვილი, საბა ბუაძე

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საკმაოდ მწვავე საკითხს წარმოადგენს. ყოველწლიურად სახელმწიფო საწარმოების ფინანსირებისთვის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება. უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოებში სამართალდამცავების მიერ კორუფციის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს დაფუძნება შეუძლია როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას. ამასთანავე, მსგავსი საწარმოების მართვის კუთხით სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ეფექტიანობის და კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფდა. სახელმწიფოს არ გააჩნია ხედვა, თუ რა მიზნით იქმნება ასეთი საწარმოები და რატომ ოპერირებენ ისინი იმ სფეროში, სადაც კერძო სექტორს თავისუფლად შეუძლია მოქმედება.

აღნიშნულ საწარმოებში ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს საკადრო პოლიტიკა და ანგარიშვალდებულება. საწარმოს ხელმძღვანელების დანიშვნა ხდება არა კონკურსის საფუძველზე, არამედ საწარმოს დამფუძნებელი ორგანოს პოლიტიკური გადაწყვეტილებით, ხოლო საწარმოში დასაქმებული პირების მიღება არ ხდება გამჭვირვალე პროცედურებისა და კონკურსის გზით. საწარმოებში დაცულ ინფორმაციაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სტანდარტები და მათგან ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფო საწარმოებს არ გააჩნიათ ანგარიშგებისა და შიდა აუდიტის ეფექტური სისტემა, ასევე იშვიათად ხდება მათი შემოწმება გარე, დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. სახელმწიფო საწარმოებში არ არსებობს არც დისციპლინური წარმოების მექანიზმი, ეთიკის კოდექსი და კორუფციის პრევენციის სხვა დოკუმენტები. სახელმწიფო საწარმოების ეფექტური ფუნქციონა ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, როდესაც სახელმწიფოს მიერ გაცემული სუბსიდიების ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება საწარმოს მიერ მიღებული მოგების ოდენობას.

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია როგორც კონკრეტული პრობლემები, ისე მათი გადაჭრის სხვადასხვა გზები. პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, გამოიკვეთა 5 ძირითადი პრობლემა: სახელმწიფო საწარმოების დაფუძნება; სახელმწიფო საწარმოების მართვა; სახელმწიფო საწარმოების საკადრო პოლიტიკა; სახელმწიფო საწარმოების ანგარიშვალდებულება; სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობა. თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია, სულ მცირე, 3 ალტერნატიული საშუალება.

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული ალტერნატივები მოიცავს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგებას, საწარმოების შესყიდვების

გამჭვირვალობის გაზრდას, სანარმოების მართვის ახალი მოდელების გამოყენებას, ანგარიშგების სპეციალური მექანიზმების დანერგვას და ა.შ.

პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია სანარმოების მართვის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის კუთხით არსებული გამოწვევები და ამ პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივები. ძირითადი საკითხების ერთობლიობაში წამოწევა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოების ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების გარემოს.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge

ვებგვერდი: eap-csf.ge